მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

№ ---------

5 ივნისი 2015

წინამდებარე მინდობილობით შპს 'ეი ჯი კომპანი' ს/კ 405034564, მის: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაონი, დიდი დიღომი, გ. რწყინვალის ქ.№5, ვ.43, მისი დირექტორის, ალიზადე ხაზარ (პ/ნ 12HK9HU) სახით,.

უფლებამოსილებას ანიჭებს:

ვლადიმერ ბექაიას (მცხოვრები: ქ.თბილისი, იორგი ბრწყინვალეს ქ. 5 ბ43 პირადი № 01025007780) (შემდგომში „რწმუნებული"), რათა მან წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში, ასევე ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სახელმწიფო დაწესებულებაში (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სემეკი, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია, და საგადასახადო ორგანოები, საქართველოს საკრებულოები, გამგეობები და საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქალაქ თბილისის მერია და მისი ნებისმიერი სამსახური) ნებისმიერ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ დავაზე, ასევე კერძო არბიტრაჟში საარბიტრაჟო საქმეზე.

ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით რწმუნებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყველა უფლებამოსილ ორგანოში წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით ყველა საკითხზე, კერძოდ, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, აწარმოოს მოლაპარაკებები ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის საგადასახადო ინსპექციაში, ფინანსთა სამინისტროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, თბილისის მერიასა თუ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან. რწმუნებული უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას. სასამართლოში საქმის წარმოებისას რწმუნებული უფლებამოსილია ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვთ მოსარჩელეს, მოპასუხესა და მესამე პირს, უფლებებით რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით, მათ შორის იმ უფლებითაც, რომ:

1. აღძრას სარჩელი ან/და განცხადება;
2. გაეცნოს და გადაიღოს საქმის მასალები
3. საქმე გადასცეს არბიტრაჟს;
4. მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე;
5. ცნოს სარჩელი;
6. შეცვალოს სარჩელის საგანი;

7. დაასრულოს საქმე მორიგებით;

8. გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება;

9. ჩაიბაროს საქმესთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია, ამასთან სარჩელზე თანდართული დედნები

10. აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადასახდევინებლად წარადგინოს სააღსრულებლო ფურცელი, აწარმოოს სააღსრულებო საქმე

11. მოახდინოს ანგარიშსწორება საერთო სასამართლოების საბანკო ანგარიშზე, მათ შორის დაიბრუნოს სახელწიფო ბაჟი საერთო სასამართლოების საბანკო ანგარიშიდან.

მინდობილობა ძალაშია ორი წლის განმავლობაში.

პატივისცემით

შპს „იე ჯი კომპანის“-ს დირექტორი / ალიზადე ხაზარ /